

წინასიტყვაობა

ჭეშმარიტად დიდია იმ პიროვნების თვალსაწიერი, ვინც პირველად მივიდა დასკვნამდე და გამოთქვა აზრი, რომ ყოველი ერი ფასდება არა დიდი და ძლევამოსილი ომების გადახდის, მრავალი ქვეყნებისა და ტერიტორიების დაპყრობის გამო, არამედ იმით, თუ რა წვლილი შეიტანა მან მსოფლიო კულტურის საგანძურში.

როცა ანალოგიური კითხვა ჩნდება ჩვენი ერის მიმართ, კულტურულ ღირებულებათა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია შოთა რუსთველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ამ პოემის იდეებით იზრდებოდნენ საქართველოში თაობები: რაინდების, მეგობრობის, ძმადშეფიცულობის, მამულიშვილობის, მიჯნურობის სულისკვეთებით. „ვეფხისტყაოსანი“ შთაგონების წყარო გახდა ქართველი პოეტებისა თუ ხელოვნების მოღვაწეთათვის.

„ერის მამამ“ და უგვირგვინო მეფემ ილია ჭავჭავაძემ ცნობილი ნაწარმოები „კაცია ადამიანი?!“ დაწერა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის გავლენით, სადაც მოქმედი პერსონაჟი ქაჯების შესახებ ამბობს, რომ ისინი ... ბუნებით გრძნეულნი არიან, თორემ სხვა მხრივ... „კაცია ადამიანი“.

პროზის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია წერდა, რომ მას ცხოვრებაში სამოქმედოდ მინიშნებული ჰქონდა დიდი შოთას სიტყვები:

„ან თუ არის დიდი ვინმე, მაღალი და მაღლა მხედი,

არც თუ ჭირი ჭირად უჩნდეს, არც თუ ლხინი ზედა-ზედი“

ვინც ამ მწერლის ბიოგრაფიას იცნობს, დარწმუნებულია, რომ ეს არ არის ლიტონი სიტყვები.

პოეტმა-გენიოსმა გალაქტიონ ტაბიძემ სიცოცხლის ბოლო დღეს (17 მარტი 1959წ) ძმისშვილს თხოვა სახლიდან მოეტანათ მასთან საავადმყოფოში „ვეფხისტყაოსანი“.

უპირველესმა ქართველმა მხატვარმა, ფერმწერმა ლადო გუდიაშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ ერთი გამოცემა მოხატა, რომელიც გამორჩეულია ორიგინალური კონტურებითა და კომპოზიციით. „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია მსოფლიოს ყველა ძირითად ენებზე. საქართველოში არიან (და იყვნენ) ათეულობით ადამიანები, რომლებმაც ზეპირად იციან ეს პოემა.

21-ე საუკუნეში მიმდინარე არნახულმა ტექნიკურმა და მეცნიერულმა განვითარებამ ახალგაზრდა თობაში არ უნდა გააფერკმთალოს ჩვენი ისტორიული კულტურის შედეგები, მათ შორის შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

დიდია ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის და მისი ბიოგრაფიის მიმართ, რაც ცხადია გაძნელებულია იმის გამო, რომ მისი ცხოვრებიდან დიდი დრო გავიდა. ქართველი მემკვიდრეები იძლევიან

პოეტის შესახებ ძალიან მწირ ცნობებს და თუნდაც იმის გამოც, რომ მე-12 საუკუნეში საქართველოში არ არსებობდა გვარის (familia) სისტემა და იგი აქ (მისაგნები გვარი) ისახება 3-4 საუკუნით გვიან.

არავინ იცის რუსთველი გვარია თუ ფსევდომინი. მართალია არსებობენ ტოპონიმზე დაფუძნებული გვარები (ჯაყელი, კრიხელი, მეტრეველი, რონდელი და სხვა, მაგრამ ისინი, როგორც ზევით ავლნიშნე -- გვიან საუკუნეებში ჩამოყალიბდნენ. მაგრამ ვიცით, რომ მე-12 საუკუნეში არსებობდა „რუსთველი“, რომელიც თანამდებობა-საქმიანობას ნიშნავდა.

არ ვარ არც პირველი (და ალბათ არც უკანასკნელი) რომელიც თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სასულიერო წოდების წარმომადგენელია. შევეცადე მკითხველისთვის შემეხსენებინა ზოგი რამ კლასიკოსი რუსთველოლოგებისა და ლიტერატურათმცოდნეების მოსაზრებები პოემისა და მისი ავტორის შესახებ, წარმომეჩინა ზოგიერთი პირველწყაროები და ა.შ.

მაქვს ზოგიერთი ჩემი პირადი მოსაზრებები ტოპონიმ „რუსთავის“ შესახებ, აგრეთვე პოემის მე-8 სტროფში არსებული „თავსატეხი“ სიტყვების „ამა დარი“-ის პრობლემაზე, რასაც მკითხველი ქვემოთ ტექსტში გაეცნობა.

„მესხი მელექსე“

(შოთა რუსთველის დაბადებიდან 850 წლის გამო)

ცნობილია, რომ დიდ შემოქმედთა - პოეტების, მწერლების, საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრება-ბიოგრაფიები (უილიამ შექსპირი, სერვანტესი, დანტე ალიგიერი და სხვ.), ხშირად ბურუსით არის მოცული. ამ პირთა მაღალი საზოგადოებრივი რეზონანსის გამო - ლეგენდებით, თქმულებებით, „მითქმა-მოთქმით“ და ჭორებით იმოსებოდა მათი ცხოვრება. ამ მხრივ გამონაკლისს არც შოთა რუსთველის ბიოგრაფია წარმოადგენს. პოეტის ცხოვრებიდან 8 საუკუნეზე მეტია გასული და ჯერ კიდევ კამათია - ერისკაცი იყო შოთა თუ სასულიერო პირი, ჰერეთის ერისთავი, თუ თამარ მეფის ხელისუფლების მეჭურჭლეთუხუცესი, შოთა კუპარი იყო, თუ მესხი მელექსე...

ყველაზე სანდო წყაროს პოემის ავტორის დადგენისათვის თვითონ პოემა „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი, მისი მე-7 და მე-8 სტროფები წარმოადგენენ. გასათვალისწინებელია ქართველი მემკვიდრეების (ჟამთააღმწერელის, თამარის ისტორიკოსის, ისტორია აზმანი შარავანდედთანი) და სხვათა ცნობები შემოქმედის მოღვაწეობის შესახებ. „ვეფხისტყაოსნის“ მე-8 სტროფი პოემის ავტორის ძიებაში წარმოადგენს საკვანძო-ალტერნატიულ ნაწილს, რომლის ამოხსნისათვის საუკუნეთა განმავლობაში ასეულობით წერილები, წიგნები და სტატიები იწერებოდა და ქვეყნდებოდა, რაც ალბათ მომავალშიც გაგრძელდება.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, სასულიერო პირი იქნებოდა ის თუ საერო, უეჭველია, რომ ტოპონიმ „რუსთავთან“ არის დაკავშირებული. ჩვენი დიდი

ენციკლოპედიისტი და ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი წერს: „რუ -- ესე არს წყალი სარწყავად გაღებული“. ბუნებრივია, მის სათავეს რუს-თავი (სათავე) იქნებოდა და სახელწოდებაც „რუსთავი“ მას უკავშირდება.

რუს ახლო-მახლო მოსახლეობა სახლდებოდა და სოფლები (ზოგჯერ ქალაქები) შენდებოდა, რომელსაც ზოგჯერ ჰიდრონიმის (მდინარის) სახელი დაერქმეოდა. ასეთი შემთხვევები ვიცით სხვა ქვეყნებშიც (თურქეთის დედაქალაქს- ანკარას ამავე ქალაქში გამავალი მდინარის - ანკარას სახელი დაერქვა; მასკვა-რეკაზე - ქალაქი მოსკოვი დაფუძნდა და ა.შ).

საქართველოში ასეთი ტოპონიმები, რომლებიც ტერმინ „რუსთავს“ უკავშირდება, არცთუ ისე ცოტაა: 1) ჰერეთის რუსთავი, იგივე ბოსტან-ქალაქი; 2) სოფელი რუსთავი შიდა ქართლში (ცხინვალთან); 3) სოფელი რუსთავი ახალციხის რაიონში 4) რუისი - ცნობილი საეკლესიო ცენტრი ქართლში; 5) რუისპირი - სოფელი კახეთში, თელავთან. ხაშურის რაიონში არის სოფელი რუსაანთუბანი, ვინაიდან ამ სოფელს არავითარი კავშირი არ აქვს (არც ჰქონია) ეთნონიმ „რუს“-თან, არ გამოვრიცხავთ, რომ ამ სოფლის თავდაპირველი სახელი „რუსუბანი“ ყოფილიყო. (უბანი, როგორც ტოპონიმის ნაწილი, გავრცელებულია საქართველოში: ვაზისუბანი, გოგოლეთისუბანი, წინუბანი, ღოუბანი, მაქათუბანი და სხვა).

ტერმინი „რუ“ აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული, ვინაიდან მშრალი კლიმატის გამო სარწყავი სამუშაოები აქ უფრო მეტად გავრცელებულია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, სადაც არსებული ტენიანობისა და ხშირი წვიმების გამო მელიორაციის გამოყენება ნაკლებ საჭიროებას წარმოადგენს.

მოხსენებული ტოპონიმებიდან მკვლევარ-რუსთველოლოგთა ნაწილი, პოემის ავტორობას უკავშირებს ახალციხესთან არსებულ ერთ პატარა (ჩიხურ) სოფელს, რომელიც არ გამოირჩევა არც სიდიდით, არც ეკლესიებისა და სამონასტრო კომპლექსების არსებობით. მათი აზრით, აქ უცხოვრია და უმოღვაწია ვეფხისტყაოსნის ავტორს - „ვინმე მესხ მელექსეს“, ხოლო ჰერეთის რუსთავში მოღვაწე პირს, რომელიც რუსთავის საეკლესიო ეპარქიის ეპისკოპოსი იყო, თამარის მეფობის დროს სასულიერო პირთა იერარქიაში მესამე ადგილი ეჭირა, (პირველ ადგილზე ბიჭვინთელს ეჭირა) რომელიც იცნობდა დიონისე არეოპაგელის, პლატონის, ჰერაკლიტეს, ემპედოკლეს, ევკლიდეს, იოანე პეტრიწისა თუ სხვა ფილოსოფოსთა შრომებს, თურმე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ პოემის ავტორი, რადგან იგი საეკლესიო წოდების წარმომადგენელი იყო.

„ვინმე მესხი მელექსეს“ გამო აქ მოგვიხდება მცირე გადახვევა, ისტორიული ექსკურსი.

ცნობილია, მიაღწევდნენ რა, გამრავლების გარკვეულ ეტაპს, ეთნოსები ან მათი ნაწილი იწყებდა მშობლიური ტერიტორიებიდან მიგრაციას სხვა მხარეებისკენ, თავისუფალი სივრცეებისაკენ ან ექსპანსიას მცირერიცხოვანი და ჩამორჩენილი ქვეყნებისაკენ, სადაც განსახლდებოდნენ და იწყებდნენ ახალ სამეურნეო, კულტურულ და სხვა ცხოვრებას. მიზეზი ამ გადასახლებისა იყო სამშობლოში სამეურნეო განვითარების შეფერხება, გლობალური ატმოსფერულ-კლიმატური მოვლენები, რელიგიური ცვლილებები, მოუსავლიანობა, მასობრივი ავადმყოფობა, მტრის შემოსევები და სხვა. ახალ საკოლონიზაციო

რეგიონებში, განსხვავებით მათი პირვანდელი სამშობლოსაგან, დამოკიდებული გეოგრაფიული გარემოს, კლიმატური პირობების, ახალი სახის სამეურნეო საქმის განვითარების, მეზობელი ხალხების რელიგიურ-კულტურული ვითარების გამო იცვლებოდა ემიგრირებული ხალხის სოციალური ვითარება, ფსიქიკა, საქმიანობის სფეროები და ხდებოდა მათი ადრინდელ დედა-სამშობლოსთან გაუცხოების პროცესი. ასეთ შემთხვევაში რჩებოდა მხოლოდ ენა, თუმცა ზემოთჩამოთვლილი პირობების შესაბამისად, მათ სამეტყველო ლექსიკაშიც ხდებოდა ცვლილებები; გადასხვაფერდებოდა მათი კილო და ა. შ. სხვა ხალხის ექსპანსიის შემთხვევაში ზოგჯერ ენაც კი იცვლებოდა, შესაბამისად ორი ერთმანეთთან თანამცხოვრები ხალხის რიცხოვრივი რაოდენობის, კულტურის და სხვა მონაცემების შესაბამისად. (როცა მანჯურებმა დაიპყრეს ჩინეთის ნაწილი, დაკარგეს თავიანთი მშობლიური ენა და გაითავისეს ჩინური. იყო საპირისპირო შემთხვევაც, გერმანელებმა დაიპყრეს პრუსები და იქ გავრცელდა გერმანული ენა, ანექსიონისტებმა კი თავის თავს უწოდეს პრუსები).

მაგალითად ჩაითვლებიან ბერძნები, რომლებმაც შავი და აზოვის ზღვის, ეგეოსისა და ადრეატიკის ზღვების სანაპიროებზე ელადიდან გადასახლებულებმა შექმნეს მრავალი ქალაქ-სახელმწიფოები, შეიტანეს ამ სივრცეში მაღალი კულტურა. აღსანიშნავია, რომ ბერძნებს თავიანთ დედასამშობლოსთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტიათ. მსგავს მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს არაბებიც, რომლებმაც სარწმუნოების საბაზით ექსპანსია განახორციელეს და განსახლდნენ უზარმაზარ სივრცეში ესპანეთიდან შუა აზიამდე.

ასეთი მოვლენები განვითარდა ევროპაშიც: სლავებმა დაიკავეს რა ევროპის შუა, სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილი, შექმნეს თავიანთი სახელმწიფოები და „დაირქვეს“ განსხვავებული სახელწოდებები (ჩეხი, ხორვატი, სერბი, რუსი, ბელორუსი, ბულგარელი და ა.შ.. აქ მხოლოდ ორმა ქვეყანამ - სლოვაკეთმა და სლოვენიამ შეინარჩუნეს პირვანდელი ეთნიკური სახელი - სლავი).

გამონაკლისი არც ქართველები ვყოფილვართ. საყურადღებოა გერმანელი მეცნიერის, ისტორიკოსის, ურარტოლოგის, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის კარლ ფერდინანდ ფრიდრიხ ლემან ჰაუპტის (1861-1938 წწ) აზრი, რომ თანამედროვე ქართველები (იგულისხმება მე-19, მე-20 ს-ები) მესოპოტამიიდან (შუამდინარეთი, თანამედროვე ერაყი) წამოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან (კაბადოკია) წამოსული მესხების შერწყმააო. მათ აქ შექმნეს ქართლის (იბერიის) სახელმწიფო, შემდგომში კი თავიანთ უძველეს თანამომხმეებთან (მეგრელ-ჭანებთან და სვანებთან) შექმნეს ერთიანი ქვეყანა - საქართველო.

კომენტარები საჭირო გახდა იმისათვის, რომ ეთნოტერმინი „მესხი“ არ არის რეგიონალურ-კუთხური სახელწოდება (როგორც მაგალითად რაჭველი, თუში, გურული, კახელი და ა.შ.), არამედ იდენტური სახელია ქართისა (კარდუხი). ქართულ და მესხურ მეტყველებაში განსხვავება ხომ მხოლოდ კილოშია და ზოგჯერ ლექსიკაშიც, მაგრამ ეს ენა წარსულში ერთიანი კონტინენტალური სამყაროს ნატეხებს წარმოადგენს. გავიხსენოთ ისტორიული ფაქტი: ძველი მესხეთი (აჭარა, კოლა, არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, პარხალი, ტაო, სპერი ე.ი. მთელი ჭოროხის ხეობა), კუროპალატების სამფლობელოს წარმოადგენდა და მას

ქართველთა საკუროპალატო ერქვა! ისტორიული ვითარების შეცვლის შემდეგ კი ამავე მხარეს (ქვეყანას) მართავდნენ ათაბაგები და ერქვა სამცხე (მესხეთის) საათაბაგო. მაგრამ მესხები არამარტო სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებულან

საყურადღებოა ცნობილი რუსი ლინგვისტის, ლექსიკოგრაფის და მწერლის ვ. ი. დალის ცნობა, რომ დაღესტნიის ხალხები, მეზობელ ქართველებს (თუშებს, ფშაველებს, კახელებს) უწოდებდნენ „მოსოქებს“, რაც ტერმინ „მესხის“ იდენტური ვარიანტია.

საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ, რომ კაპადოკიიდან კავკასიონის მთავარ ქედამდე გადმოსახლების დროს (და მანამდეც), მესხები ემეზობლებოდნენ მრავალ ქვეყნებსა თუ ხალხებს. ისინი კი, გამომდინარე მათი ენობრივი სპეციფიკიდან, მათ მოიხსენიებდნენ სხვადასხვა სახელწოდებებით (მესხი, მასხი, მოსხი, მოსოხი, მუსქი, მეშექი, ბასხი და ა.შ.)

როგორც სხვა ხალხებში, ამ შემთხვევაშიც (მესხებში) მოხდა განცალკევება - გაუცხოება პირვანდელ წინაპრებთან. განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც გავრცელებული იყო პატრიარქალურ-ნატურალური მეურნეობა, ეს პროცესი გაცილებით უფრო ინტენსიური იყო. მაღალმთიანი ზონის ხეობებში, ლტოლვა პარტიკულარიზმისა და „განსხვავებულობისადმი“ უფრო ძლიერი იყო. მსგავსი პროცესი ხდებოდა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში. თურქეთში მცხოვრები ქართველები ვერ იხსენებენ, რომ მათი წინაპრები მესხები იყვნენ და

თავიანთ თავს (კარგ შემთხვევაში) სხვათა მიერ შერქმეული სახელწოდებით წარმოგვიდგენენ (გურჯი).

მე-12 საუკუნეში, როცა „ვეფხისტყაოსანი“ იწერებოდა, ქართველებს კარგად ახსოვდათ, რომ ისინი „ნათესავით“ მესხებიც იყვნენ. პოემა გაჯერებულია მესხური გამოთქმებითა თუ ტერმინებით, რაც რუსთველოლოგებისათვის კარგად ცნობილია. გავიხსენოთ ასევე აზერბაიჯანელი (სპარსულენოვანი) პოეტის ნიზამი განჯელის ლექსი, რომელშიც ქართული გამოთქმებია ჩართული მესხური დიალექტით (ხაზი ჩემია. ბ. ჭ.) „მოი, მოი“. რაც მკვლევარისთვის და ბევრი მკითხველისთვისაც ცნობილი ფაქტია და ეჭვს არ იწვევს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ერთხელ კიდევ მინდა ავღნიშნო, რომ მოხსენებული აზერბაიჯანელი პოეტი (და არა მარტო ის) ქართველისა და საქართველოს (გურჯისტანის) პარალელურად იყენებდნენ აფხაზს, აბხაზეთს, რაც მათთვის იდენტური ცნება იყო.

ასეთ ფონზე, მხოლოდ ახალციხე-ადიგენის რაიონების მესხეთად (სამცხე) წარმოდგენა და მასთან „მესხი მელექეს“ დაკავშირება რბილად რომ ვთქვათ, ისტორიის შეზღუდვა-შევიწროება და გულუბრყვილობაა.

„ვეფხისტყაოსნის“ გადამწერ-ინტერპოლატორი, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ პოსტკრიპტუმის ანუ ეპილოგიის ავტორი თავის თავს მესხეთის რომელიღაც პატარა სოფელის რუსთავის მკვიდრად კი არ მიიჩნევს, არამედ, ამბობს, რომ იგი ქართველი, მესხი მელექესა და გადამწერია „ვეფხისტყაოსნისა“ („ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“.

„მესხი მელექსე“ რომ პოემის ავტორი არ არის, ადასტურებს თუნდაც ვეფხისტყაოსნის პროლოგში მე-7 და მე-8 სტროფებში მოხსენებული ნამდვილი ავტორი (დავჯე რუსთველმან გავლექსე“; „მე რუსთველი ხელობითა“) და ა. შ. მნელად დასაჯერებელია, რომ უკვე წარმოდგენილი პოემის დასასრულს კიდევ შეეხსენებინა მკითხველისათვის თავისი ვინაობა ...

გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოვიდა პროკოფი რატიანის შესანიშნავი წიგნი „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის შესახებ“, სადაც ის ამტკიცებს, რომ პოემის ავტორი სასულიერო პირი, რუსთავის ეპისკოპოსი „რუსთველი“ იყო (ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსთველი“ ისეთივე თანამდებობა-საქმიანობა იყო, როგორც ალავერდელი, ბოდბელი, წილკნელი, მანგლელი, ჭყონდიდელი, ბიჭვინთელი, გელათელი და ა.შ.).

მართლაც, იყოფოდა რა, საქართველო საერისთაოებად, ამავე დროს, იგი საეკლესიო ეპარქიებად იყო წარმოდგენილი. „მწყემსი“-ეპისკოპოსი ეპარქიის რეზიდენციაში იმყოფებოდა: „ალავერდელი“ - ალავერდის ტაძარში, „ბოდბელი“ - ბოდბის, „წილკნელი“ - წილკნის, „ბიჭვინთელი“ - ბიჭვინთაში, „გელათელი“ - გელათში, „რუსთველი“ - რუსთავში. (გარკვეული მიზეზების გამო, შემდგომში რეზიდენცია მარტყოფში იქნა გადატანილი, თუმცა ეპისკოპოსს სახელწოდება „რუსთველი“ ისევ დარჩა.)

საბჭოურ-ათეისტურმა სახელმწიფომ მაშინვე „ხმალამოწვდილი“ გაილაშქრა მოხსენებული წიგნისა და მისი ავტორის წინააღმდეგ. როგორც მიღებული იყო, დაიწერა კოლექტიური წერილი, რომელშიც განქიქებული იყო პ. რატიანი, - როგორ შეიძლება სამიჯნურო პოემის ავტორი სასულიერო პირი

იყოსო! თავისი აგრესიული ტონით ეს სტატია ბევრად არ ჩამორჩებოდა საბჭოთა კავშირში 30-იან წლებში არსებულ ანალოგიურ ფაქტებს! ოპონენტები მაშინ საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები გახლდათ. პ. რატიანმა მათ სათანადო პასუხი გასცა, რის კომენტარებსაც ვერ მოვიტან თუნდაც იმის გამო, რომ წიგნის ავტორის მართლაც ბრწყინვალე პასუხი არ გავაფერმკრთალო.

მკვლევართათვის და მკითხველისათვისაც, როგორც პოემის მე-8 სტროფი, ასევე მისი „დასასრული“ (ეპილოგი) „გორდიას კვანძი“ გახდა!

ბევრი მათგანი ამ ხუთსტროფიან „პოსტკრიპტუმს“ ინტერპოლაციად თვლის! ზოგსაც მიაჩნია, რომ იგი პოემის შემადგენელი ნაწილია და პოემის ავტორს ეკუთვნის! სწორედ ამის გამო გაჩნდა ვერსია ვეფხისტყაოსნის ავტორად „ვინმე მესხი მელექსეს“ ჩათვლის შესახებ („ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“). ცხადია ეპილოგი რომ ინტერპოლაციად ჩათვლილიყო, საკითხი „მესხი მელექსეს“ შესახებ, როგორც პოემის ავტორის შესახებ - მოიხსნებოდა!

ვფიქრობ, რომ „ეპილოგი“ ინტერპოლაციას წარმოადგენს! (და მე არ ვარ ამ იდეის ერთადერთი გამზიარებელი.). შემდეგი მტკიცებულებების გამო:

1) ინტერპოლატორი წერს - „ვწერ რუსთველისად ამისაო: ე.ი. მისი (რუსთველის) გამგრძელებელი ვარო! არ გამოვრიცხავ, რომ „ეპილოგში“ არა ერთი, არამედ რამდენიმე ინტერპოლატორი იყოს ჩართული და შესაძლოა მათ შორის პოემის გადამწერლებიც იყვნენ!

2) „ეპილოგი“-ს ბოლო სტროფში წარმოდგენილია რამოდენიმე ავტორი (იძულებული ვარ ეს სტროფი მთლიანად გადმოვწერო). ამირან-დარეჯანის-ძე

მოსეს უქია ხონელსა აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი რომ უქეს რომელსა, დილარგეთ-სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსა, ტარიელ-მისსა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუშრობელსა!

აქ ხომ ამის დამწერს რუსთველი მესამე პირად ჰყავს გამოყვანილი. ამ სტროფის დამწერს იმდენი პოეტური ნიჭი კი გააჩნდა, რომ ტარიელის „მაქებრად“ თავისი თავი წარმოეჩინა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა! რატომ? რადგანაც მას პოემის ავტორად თავისი თავი არ მიაჩნდა.

3) ერთ-ერთი ინტერპოლატორი (იქნებ „მესხი მელექსე“?) მოჯადოებულია ვინმე დავითის პიროვნებით; ღვთაებად აღიქვამს მას, თვლის რომ იგი არის („აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ თავზარდამცემი („ზართამარებელი“) აღფრთოვანებულია მისი „სიჩაღხე-სიხაფეთანი“- ით და ა.შ. ვინ არის ასეთი დიდი პიროვნება დავით მეოთხე აღმაშენებელის შემდეგ ისტორიიდან ჩვენ არ ვიცით. იქნებ დავით სოსლანი? სად არის მაშინ თამარი?! მეფე-თამარი იყო, ხოლო მისი თანამეცხედრე და მთავარსარდალი - დავით სოსლანი. სამწუხაროდ, ტექსტის განვრცობის გამო, აქ ვერ ჩავრთავთ პ. ინგოროყვას კომენტარებს ამ სტროფთან დაკავშირებით

ყველა ჩვენი წარმოდგენილი არგუმენტები უსაფუძვლო რომც იყოს- ერთი კი მაინც არის უდაო, რომ როგორც შესავალში (პროლოგი), ასევე „დასასრულშიც“ ვეფხისტყაოსნის ავტორად წარმოდგენილია, „რუსთველი“ და არა ვინმეს ახირებით გამოგენებული რუსთაველი.

საზოგადოდ ცნობილია, რომ თავიანთ სამოღვაწეო სფეროში წარმატებული ზოგიერთი პიროვნებები (მწერლები, მხატვრები, პოეტები) თამამად

ეკიდებოდნენ სარწმუნოებრივ ცალკეულ დოგმებს და ზოგჯერ უპირისპირდებოდნენ კიდევაც მათ. დიდი სპარსელი პოეტები ფირდოუსი (940-1020) და ომარ ხაიამი (1048-1131), განსაკუთრებით უკანასკნელი თავის პოეზიაში ღვინოსაც კი აიდვალვდა, რომელიც მუსლიმური სარწმუნოებით უმკაცრესად არის აკრძალული. ასევე ხშირად მსუბუქი იუმორით გამოირჩეოდა თურქი ევლია ჩელების (1611-1682) (სწავლული, მოგზაური, გეოგრაფი) დამოკიდებულება დოგმატური ჩვევების მიმართ; არც მისი თანამემამულე ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა (1655-1716) გამოირჩეოდა ორთოდოქსალური ისლამიზმით.

ნიკოლოზ კოპერნიკი (1473-1543) უდიდესი აღმომჩენი, მეცნიერი, მღვდელი, კათოლიკე ქრისტიანი იყო, მაგრამ ქრისტეს მოძღვრებას, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების ჭეშმარიტებას, იგი არ დაპირისპირებია, (რასაც ვერ ვიტყვით ჯორდანო ბრუნოზე).

შოთა რუსთველი რომ ამა თუ იმ ფილოსოფიის მიმდევარი ყოფილიყო (ჰელიოცენტრული სისტემა, ევკლიდეს მოძღვრება, „მანის ფერობა“ და ა. შ.). გასაკვირი არ უნდა იყოს, მით უმეტეს იმ ქვეყანაში და იმ ეპოქაში, რომელიც „ოქროს ხანად“ იყო საქართველოში ცნობილი და სადაც მოითხოვს საპარლამენტო მოწყობისა და კონსტიტუციური მონარქიის შემოღება („კარავის დადგმა“), რაც ევროპაში (ინგლისში) რამდენიმე ათეული წლის შემდეგ - 1215 წელს („თავისუფლების დიდი ქარტია“) იქნა შემოღებული. მართალია საქართველოში იმხანად პარლამენტის შემოღება (კარავის დადგმა) ვერ განხორციელდა, მაგრამ ერთპიროვნული მონარქიული მმართველობა

შეიზღუდა და ამის შემდეგ თამარის მიერ გამოცემულ დოკუმენტებში იწერებოდა - „თანადგომითა და ერთნებობითა დიდებულთა“. მართალია „ვეფხისტყაოსანში“ პოეტი არც ერთხელ არ ახსენებს ღვთის სამ-სახეობას, როცა მრავალჯერ არის მოხსენებული ზოგადად „ღვთაება“, მაგრამ ეს ნაწარმოები ხომ საერო, სამიჯნურო-რაინდული შინაარსისა იყო და არა წმინდანების ცხოვრებაზე.

მინდა ოპონენტების მემკვიდრე თანამოაზრეებს მივმართო: იქნებ სწორედ იმის გამო იყო შოთა რუსთველი ეკლესიისაგან შერისხული (შოთა კუპარი, „ამაოდ დაშვრა საწუხ არს ესე!“ და სხვა), რომ ამ დიდმა მოაზროვნემ გაარღვია რელიგიაში ზოგიერთი დოგმატები და ღმერთამდე ამაღლდა, დაწერა რა მშვენიერი სამიჯნურო პოემა!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადრინდელ შუა საუკუნეებში განათლება საეკლესიო მოღვაწეების სფეროს წარმოადგენდა და ასე იყო არა მარტო საქართველოში.

ისევ მე-8 სტროფის შესახებ: „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“ - ამ სტრიქონში მოტანილი სიტყვა „ხელობა“, ზოგიერთ მკვლევარს სიგიჟე-გახელებად მიაჩნდა. „ხელი არს რომელი უცნებოდ გარბოდეს და არცა თვით იგვემდეს და არცა სხვათა ავნებდეს“ (სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული). ასეთ შემთხვევაში დასაშვები ხდება, რომ პოემის ავტორი საერო პირი ყოფილიყო. საბჭოთა მკვლევარები, იდეოლოგიური წნეხით დაჟინებით ცდილობდნენ, რომ ეს სიტყვა „გიჟობით“ ყოფილიყო გაგებული. მიზეზი ერთი იყო - „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, საერო პიროვნება უნდა ყოფილიყო.

სიმართლისათვის უნდა ითქვას, რომ ამ მეცნიერებს წინამორბედებიც ჰყავდათ. ქართლის მეფე ვახტანგ VI ამ სიტყვას „გიჟობას“ უკავშირებდა (თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტაოსნისა“; გ. იმედაშვილის რედაქციით. თბ.1960, გვ.5). მაგრამ ვახტანგ VI-ს ტერმინი „რუსთაველი“ არსად არ გამოუყენებია. ანალოგიური შეხედულებისა იყო ჟურნალისტი დ. სოსლანი (ა. ფურცელაძე, შოთა რუსთაველი და იმისი ცოლი, ტფილისი, 1886, გვ. 4-7).

ასე ხსნიდა ამ სიტყვას დ. ჩუბინაშვილი („Новое обозрение“, 1886, N 93). ასეთივე აზრს იზიარებდა მარი ბროსეც. პირველი საბჭოთა მეცნიერი, ვინც ამ სიტყვის „გიჟად“ გაგებაში ეჭვი შეიტანა კორნელი კეკელიძე იყო. მან ეს სიტყვა ხელობა-თანამდებობას დაუკავშირა. (კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1952, გვ.17). ეს აზრი გაიზიარა აკაკი შანიძემ, 1951 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ იგი ასე იყო გაგებული. თუმცა, გაცილებით ადრე, მე-19 საუკუნის მიწურულს, ნიკო მარს დასაშვებად მიაჩნდა, რომ ამ სიტყვაში „ხელობა“ ეგულისხმათ. (Н. Марр. Вступительные и заключительные строфы Витязя в Барсовой Коже. Шота из Рустава. С. П. 1890 გვ. 46). აღნიშნულ სიტყვას მეფე-პოეტი თეიმურაზ I-იც ამავე გაგებით აღნიშნავდა - ესენი შოთა რუსთაველმან შეამკო არსთა მკობითა.

ნიკო ბერძენიშვილი, ზოგადად ხელობას, როგორც საერო, ისევე სასულიერო სფეროშიც განიხილავდა როგორც თანამდებობა-საქმიანობას. (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტომი 3, 1996, გვ 11,28,41). ამ სიტყვას ასევე განმარტავდა სულხან საბა ორბელიანი - „ხელი- მოსაქმეობა რამ“. ასო „ხ“ აქ წარმოდგენილი იყო მაგარი ხ-თი). ძველ სასულიერო და

საეკლესიო საბუთებში „ხელობა“ (მაგარი ხ-თი) და „ხელი“ გაგებული იყო, როგორც თანამდებობა. „კუმურდოელი მთავარეპისკოპოსი გერასიმე ... კუმურდოსა საყდარი და ხელი მიბოძა“ (თედო ჟორდანიას „ქრონიკები“, წ. II, გვ. 315). ასევე: “ყვარყვარე მაწყვერელობა ან სხვა რამე ხელი გუაძლიოს და დაგვპატიჟოს კურთხევისა მიზეზთა... სხუა ხელი არ გამოვართოთ“. საბუთი თარიღდება 1453-1459 წწ, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961, გვ. 26).

თანამდებობა - საქმიანობად თვლიდა ამ სიტყვას ანტონ ფურცელაძეც. „ხელი“ თანამდებობა საქმიანობის გაგებით მოცემული აქვს შოთა რუსთველსაც პოემაში.

მეორე ლექსი, ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალუმს სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა
ვამსგავსე მშვილდი ბედითი, ყმაწვილთა მონადირეთა,
დიდსა ვერ მოკვლენ, ხელად აქვთ, ხოცვა ნადირთა მცირეთა.

ასევე, „ აწ ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვანება“.

ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი „ხელობითას“ საქმიანობ ა-თანამდებობად გაგებაში - მოხსენებული ავტორი პ. რატიანი თავის წიგნში, მე-8 სტროფის პირველ სტრიქონში „ხელობითას“ შესახებ აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა ამ შემთხვევაში იწყებოდა მაგარი „ხ“-თი, რაც ჩვენს დროში აღარ იხმარება და ეს ფაქტი უფრო ხშირად პოემის ხელნაწერთა უძველეს ეგზემპლარებშია მოცემული, ე. ი. გადამწერთა პირველი თაობები ამ სიტყვას მაგარი „ხ“- თი

გადმოსცემდნენ. ამ შემთხვევაში კი ეს სიტყვა ნამდვილად ხელობა-საქმიანობას უკავშირდება.

მომდევნო სტრიქონში წარმოდგენილი სიტყვა „ვხელობ“ გაგებული იქნება ის „სიგიჟის“ თუ „საქმიანობის“ გაგებით, არსებითად არაფერს არ ცვლის და ალტერნატიულ პრობლემას არ წარმოადგენს.

დიდ გაუგებრობას უკავშირდებოდა სტრიქონში აღნიშნული ბოლო ორი სიტყვა „ამა დარი“. (მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“). მასზე ყურადღებას არ ამახვილებდა ალ. ბარამიძე (ჟურნალი - „მნათობი“ N81969 წ. ასევე ე. მეტრეველი და ს. ცაიშვილი. აქვე გვ.175). მას გვერდი აუარა პ. რატიანმაც (ჟურნალი-„მნათობი“, 1968 N2, გვ. 162). თავის დროზე არც ანტონ ფურცელაძემ ჩათვალა საჭიროდ ამ სიტყვების კომენტირება.

ზოგ მეცნიერს „დარი“ გაგებული ჰქონდა ამინდის (ტაროსი) მნიშვნელობით, მაგრამ ასეთი გაგება აბუნდოვანებდა საკვლევ სტროფს. კორნელი კეკელიძემ „ამა დარი“ „ალამდართ“ შეცვალა და იგი დაუკავშირა ხელობას, რამაც ვერაფერი შესძინა ამ სტრიქონის გაგებას და მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა შ. ნუცუბიძის მხრიდან, მან კატეგორიულად აღნიშნა, რომ პოემის ტექსტში ხელოვნური ჩარევა გაუმართლებელია. (Ш. Нуцубидзе. Творчество Руставели. Тб. 1958, გვ. 231-235).

ვფიქრობ ამ სტრიქონში „ამა“ უნდა იყოს ნაცვალსახელი, რომელიც პოემაში არაერთხელ გვხვდება. („ამა ქალაქს შემოადგა მეტად დიდი ქარავანი“; „ ამა მამისა რჩევასა, ქალი ბრძნად მოისმინებდა“; „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს განაცხადებს“ და სხვა). რაც შეეხება სიტყვას „დარი“, იგი „მსგავსის“

სინონიმი უნდა იყოს. ე.ი. საუბარია მსგავს მოქმედებაზე. მე-8 სტროფი ხომ მე-6 და მე-7 სტროფის გაგრძელებაა და აქ ცხადია, აზრი უწყვეტია, ეს სტროფები არ არიან იზოლირებული ერთმანეთისგან. პოემის ავტორი მსგავსი მოქმედებებით (სიყვარული, მიჯნურობა) პარალელს ავლებს ტარიელთან, რომელიც მე-7 სტროფშია მოხსენებული. ნუ დაგვაეჭვებს ის, რომ წერია „დარი“ და არა „დარად“. ჩავთვალოთ, რომ ეს პოეტს რითმისთვის დაჭირდა. საერთოდ ცნობილია რუსთველის „ძალადობა“ ცალკეულ სიტყვებზე თუ ფრაზებზე. იგი ზოგჯერ არ ემორჩილება გრამატიკის კანონებს და თავად ჰქმნის მას.

თუ გავითვალისწინებთ ამგვარ ინტერპრეტაციას, მაშინ სტრიქონმა ასეთი ფორმა უნდა მიიღოს: მე რუსთველი ხელობით ვიქცევი ამის (ტარიელის) მსგავსად, ვისაც ჯარი სპათა მორჩილობს მისთვის ვხელობ. გავიხსენოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თავის ვინაობას პოემაში რამდენჯერაც აღნიშნავს, ყველგან რუსთველია და არა რუსთაველი.

1960 წელს სამმა გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ - აკაკი შანიძემ, ირაკლი აბაშიძემ და გიორგი წერეთელმა სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყვეს იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში, სადაც მათ სვეტზე აღმოაჩინეს ვეფხისტყაოსნის ავტორის შოთას ფრესკა, ეპისკოპოსის (ხაზი ჩემია. ბ. ჭ.) სამოსში, ვედრების პოზაში, მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე დამასკელის შუაში, ქვემოთ. თუმცა ამ ფაქტსაც არ გაუჩენია ეჭვი იმ მკვლევართათვის, ვინც თვლის, რომ პოემის ავტორი „ვინმე მესხი მელექსე“ იყო. ფაქტის ახსნა, ზოგადად, მათში ასეთი იყო - „მოხუცებულობაში ბერად აღიკვეცა და წავიდა

იერუსალიმში სალოცავად“... იქნებ ცოდვების მონანიებისათვის, რომ გენიალური სამიჯნურო პოემა დაწერა?

და კიდევ: ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმანის ავტორია შ. ნუცუბიძე. რას იფიქრებს ამ პოემის რუსულენოვანი მკითხველი (ქართულზე აღარაფერს ვამბობ), როცა აღმოაჩენს, რომ წიგნის სათაურში წერია „Шота Руставели“ ხოლო ტექსტში ყველგან „Руствели“. ვინ უნდა გაარკვიოს დაბნეული მკითხველი სიტუაციაში?

შოთა რუსთაველი ალბათ ასეულობით თუ არა, ათეულობით მოქალაქე იყო და არის, მაგრამ მათ შორის არავინ ყოფილა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი! ამ მხრივ ყველაზე პოზიტიური, რომელიც შეიძლება მათში აღმოვაჩინოთ, ეს იქნება მხოლოდ ამ პოემის ცოდნა და მისი სიყვარული!

როგორც არ უნდა შევცვალოთ პოემის ეპილოგის ბოლო სტრიქონი, რომელიც სხვადასხვა მკვლევარებმა შემოგვთავაზეს („ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა და მისა“; „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა თემისა; „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა დაბისა“), ვერანაირად დაამტკიცებენ „მესხი მელექსეს“ ავტორობას, რადგანაც ეპილოგის ინტერპოლატორი წერს „რუსთველისად ამისა“, ე. ი. მისი გამგრძელებელი ვარო!

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პოემის სახელწოდებაც. რუსთველოლოგებისთვის ცნობილია, რომ მისი თავდაპირველი სახელწოდება იყო „ქებანი“, -- პოემაში არსებული ერთი სტრიქონიდან: „ვისნი ქებანი ვთქვენი მე, არ ავად გამორჩეული“ (იხ. პ.ინგოროყვა რუსთველიანა). „ვეფხისტყაოსანი მას ქართველმა ხალხმა შეარქვა, გამომდინარე პოემაში არსებული ერთი

სტრიქონიდან -- „ მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა“). ასე, რომ შოთა რუსთველს აზრადაც არ მოსვლია , რომ მის მიერ შექმნილი შედეგისათვის „ვეფხისტყაოსანი“ ეწოდებინა.

ადამიანთა მიერ ცხოველების ტყავის ტარება, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. გერმანულ და სკანდინავიური ქვეყნების ფოლკლორში თუ ზღაპრებში არსებობენ დათვის ტყავში წარმოდგენილი პერსონაჟები; ქართულ ზეპირსიტყვაობაშიც არსებობს გამოთქმა: „ცხვრის ტყავში გახვეული მგელი“, ან პირიქით და ა.შ. მაგრამ არსად, არცერთი ქვეყნის პოეზიაში, ფოლკლორში ან ზეპირსიტყვაობაში არ ფიგურირებს „ვეფხის ტყავში“ წარმოდგენილი ადამიანი. რამოდენიმე ათეული წლის წინ ქართველმა მეცნიერ-რუსთველოლოგებმა ირანელ კოლეგებს გაუგზავნეს შეკითხვა: ხომ არ არსებობს სპარსულ პოეზიაში , ფოლკლორში ან ზეპირსიტყვაობაში მოქმედი პერსონაჟი, რომელიც ვეფხვის ტყავის მატარებელია. პასუხი იყო მოკლე და ერთმნიშვნელოვანი: არა, არ არსებობს !

მაშ, საიდან გაჩნდა იდეა ვეფხის ტყავში გახვეული რაინდის შესახებ? გავბედავ და ვიტყვი: ეს შოთა რუსთველის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს. ეს არის უნიკალური შემთხვევა, რომელიც არც ერთი ქვეყნის ფოლკლორში ან ზეპირსიტყვაობაში წარმოდგენილი არ არის! ეს ფაქტი კი ერთმხრივ ადასტურებს მოსაზრებას, რომ პოემა სხვა ქვეყანაში შექმნილი მაწარმოებიდან თარგმნილი არ არის („ნათქვამი იგ სპარსულად“, „ ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ და ა.შ.)

ვეფხის ტყავი გასაგებია, რაც არის, მაგრამ რას ნიშნავს „ოსანი?“

ქართულ ლექსიკაში ერთ საინტერესო მოვლენას აქვს ადგილი: არსებობს არსებითი სახელები, რომლებიც სუფიქს „ოსანი“-თ გარდაიქმნებიან ზედსართავ სახელებად: ეს სიტყვებია: გვირგვინოსანი - გვირგვინის მატარებელი მეფე ან მთავრი, მანდილოსანი - მანდილის მატარებელი ქალი, ხელოსანი - რაიმე ხელობის მცოდნე ადამიანი, შაოსანი - შავი ტანსაცმლის მატარებელი პიროვნება, ცხენოსანი - ცხენზე ამხედრებული, პატიოსანი - ადამიანებისადმი პატივის მიმგები პიროვნება, ძალოსანი - ძლიერი, ძალის მქონე პირი, ფრიადლოსანი - მაღალი აკადემიური შეფასების მქონე, წილოსანი - საქმეში წილის მქონე, ტყაოსანი - რომელიმე ცხოველის (ცხვრის, დათვის, მგლის, ვეფხის და ა.შ. მატარებელი (შემოსილი) ადამიანი.

საინტერესოა ერთი ქართული ხალხური ლექსი, დაკავშირებული „ვეფხისტყაოსანთან“ :

„ ქალი მყავდა მშვენიერი, თავმოსილი, კაოსანი,
გავათხოვე, გავატანე ზითვად ვეფხისტყაოსანი,
წაეკითხათ, ვერ გაეგოთ თურმე იყვნენ ვიროსანი,
ისევ უკან დავიბრუნე ჩემი „ვეფხისტყაოსანი“ .

აქ ჩანს თუ რარიგ დიდი იყო სიყვარული და პატივისცემა ამ მართლაც უმშვენიერესი პოემისადმი , რომელზეც იზრდებოდა ქართული თაობები!

მართალია, ტერმინი რუსთაველი მყარად დამკვიდრდა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, გამართულად ჟღერს და კეთილხმოვან შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ ამის გამო ჭეშმარიტების გაყალბების უფლება ჩვენ არ გვაქვს.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობის შეცვლა ჩვენს სასიქადულო პოემას ვერც ვერაფერს დააკლებს და ვერც ვერაფერს შემატებს, მაგრამ მომავალმა თაობებმა მაინც უნდა იცოდნენ, რომ პოემის ავტორი ვინმე „მესხი მელექსე“ კი არა, შოთა რუსთველი რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავარი იყო!

p.s. სტატიამი ყველა არგუმენტებსა და პირველწყაროებს რომ არც ვერწმუნოთ, სერიოზული მკვლევარისათვის ან მკითხველისათვის განა დამაჯერებელია, რომ პოემის ნამდვილი ავტორი თავის თავს წარმოგვიდგენდეს ეპიტეტით „ვინმე“? მოცემულ კონტექსტში ეს სიტყვა ხომ გამოუჩენელს, უბირს, საზოგადოებისათვის უცნობ ადამიანს ნიშნავს? მითუმეტეს, იგი თუ მეჭურჭლეთუხუცესი (ფინანსთა მინსტრი), მენაპირე ჰერეთის ერისთავი შოთა გრიგოლის ძე, ან „შოთა კუპარი“ იქნებოდა? ამ კომიკური ამოცანის ამოხსნა მივანდოთ იმ პირებს, ვისაც ეს სჯერა,რომ ვეფხისტყაოსანი „ვინმე“ მესხი მელექსეს დაწერილია.